


საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს

№ 1 იანვარი 1 1897 წ. № 1

შინაარსი: ამ საუკუნის ვითარება, გ. წერეთლისა.—საახალწლო კრიმანჭული, სისონა მეჩანგურესი.—საახალწლო ფიქრები, ილ. ნაკაშიძისა.—საახალწლო ექსპრომტები.—წარსული წლის პოლიტიკა, მაზაკვალისა.—ეკონომიურ მიმოხილვის გამო, ფ. მ—ისა.—ახალწლის მილოცვა პროვინციიდან.—მძულხართ, სურათი არაგვისპირელისა.—ჭიათურის არეზე ექსპრომტები ფანდოსა.—საქველ-მოქმედო საქმე.

## ამ საუკუნის ვითარება.

396

აი, გავიდა ერთი კიდევ უკანასკნელი წლებთაგანი ამ საუკუნისა. ყოველი ქართველი, რომელსაც ნაღვლით უფიქრია თავისი ერის სვე-ბედზე, დგას ამ საუკუნის განაპირას თვალ-ცრემლიანი და შიშის ზარით შეჰყურებს მომავალს. რა ფერი აძევს ამ მომავალს? აი, საჭირ-ბოროტო საკითხი, რომლის განხილვითაც იგი უნდა შევიგნოთ. მაგრამ ამის გასაგებათ საჭიროა ვიკითხოთ, რა იყო, ან როგორი ელფერი ედვა ამ ერთი საუკუნის წარსულ ჩვენ ცხოვრებას?

1795 წელს სექტემბრის გასულს ანანურის ციხის ერთ დარბაზში იჯდა ფეხ-მოფრთხნით მიბნელებულ კუთხეში ერთი ვინმე მოხუცი, სახე დაღვრემილი და ღრმათ ჩაფიქრებული. მის გულს მწუხარებით სავსე ნაღველი გაუდანთხეოდა. იგი ტიროდა ...ომაჰმედ-ხანის მიერ დამხობილ საქართველოს. განა ...ათის წლის განმავლობაში იგი ამისთვის ...ამოღებული დარაჯათ თავის ქვეყანას? ...) ჰქონდა ძილი, არც ლამე; სულ ომობ...ის გულისთვის, რომ თავისი სამშობლო შეენახა მომავლისათვის ხელ-უხლებათ, თვითარსათ ისე, როგორც მას იგი წინაპრებმა გადასცეს. მაგრამ განა-ლა ჰქონდა ამის იმედი? მას ეს უკვე არ რწამდა და, აი, რა იყო მისი მოხუცებულების დამამწარებელი ფიქრები. „ამაო ამაოთა და ყოველივე ამაო არსო“—გაივლო გულში დიდებულმა მოხუცმა, რომელიც ახლა ცხვრის ტყაპუჭში გამოხვეული იყო და ისიც კი ემძიმებოდა სათრევათ მას, რომელიც ერთ დროს ჰექა-ქუხილით აღმოსავლეთს ინდოეთამდის გრგვინავდა, რომლის სახელი დასავლეთით უძლიერეს ხელმწიფეს ენაზე ეკრა თავის მხედრობის გასაჰხნევებლათ. „ამაო ამაოთა და ყოველივე ამაო არსო“ —თქვა უკანასკნელათ დიდებულმა მოხუცმა და ამას შემდეგ დიდ ხანს აღარ უცოცხლია.

დადგა ახალი საუკუნე, რომელიც დღეს უკვე მიმავალია, და საქართველოს ერმა ძაფ-გაწყვეტილ კრიალოსნის მძივებსავით იწყო მიმოფანტვა. აქამომდე საერთო სვებედისათვის მუდამ ზრუნვაში გავარჯიშებული ქართველი ახლა ჩაიძირა საკუთარი წვრილმანი ინტერესების ჯურღმულში.

ასეთმა გარემოებამ ქართველ კაცს ... უცვალა ბუნება. შთამომავლობით შეთვისე...

[library stamp]

...ულ...ლები ... თან-და-თან ...კრა... ...ოდგმებში და გაძლიერდა მათში კერძოობითი მიდრეკილება. რა გარემოებამ, როგორმა საზოგადოებრივმა ცხოვრებამ მოიტანა ასეთი ცვლილება?..

მეფე ერეკლემ დატოვა თავისი ერი დიდი ხნის მომკილი საზოგადოებრივი წესწყობილებით აღჭურვილი. ამ დაწყობილებას, ავი იყო იგი, თუ კარგი, ჰქონდა თავისი სისტემა, თავისი დისციპლინა, რომელიც დაბადებიდანვე აწარმოებდა ყოველი ქართველის გონებრივს და ზნეობრივს არსებობას. მას ჰქონდა ცხოვრებაში იდეალათ სარწმუნოების დაცვა, მეფობის გამტკიცება, ამასთან სამშობლო მიწა-წყლის, თავის კერასი და მთელი საქართველოს ერის გულისთვის თავგანწირული ბრძოლა გარეშემოსეული მტრების წინააღმდეგ. ეს იყო ყოველი ქართველის პრინციპი, მისი გულის წადილი და ლტოლვილება. ამაში იხატებოდა იმის ცხოვრების მაჯის ცემა.

განა ამ დროს მათ ერთმანეთში არ ჰქონდათ უთანხმოება, შური, მტრობა, შესევა, კვლა და ცარცვა-გლეჯა?—როგორ არა. მაგრამ ასეთი უწესო მოქმედების ასალაგმავათ ძველათგანვე იყვენ საქართველოში საზოგადო მოხელენი დადგენილნი. ასეთ ცუდს ერის თვისებას ებრძოდა კათალიკოსი წმინდა სახარების სახელით, მეფე საერთო კეთილდღეობის დასამკვიდრებლით, მსაჯული საუკუნოებით შექმნილ დებულებაზე და რჯულის კანონზე დამყარებული, ერისთავი თავის ხელქვეითთა უზრუნველ ყოფისათვის. ეს საზოგადოებრივი წეს-წყობილების დამცველნი იბრძოდენ შიგნით სამეფოში ათასნაირი ბოროტ-განზრახულების მოსასპობათ, მაგრამ ეს შინაგანი ერთი ერთმანეთზე ბრძოლა განა უშლიდა საქართველოს ერს ერთობას, როცა მას კარზე გარეშე მტერი მოადგებოდა ასაკლებათ? სრულებითაც არა. კიდეც ამაში იყო მაშინდელი საზოგადო წეს-წყობილების და დისციპლინის ძალა, რომ როცა ქვეყანას გარედან მოადგებოდა შიში, მაშინ მტერი და მოყვარე შერიგდებოდენ, ერთ დროშას ქვეშ იბრძოდენ ერთმანეთისა და ქვეყნის დასაფარავათ. ამ სახით აქ სუფევდა პრინციპი ერთათ მოქმედებისა და სამშობლო ქვეყნის საკურთხევლის წინაშე მტერი და მოყვარე თანასწორათ იხრიდენ თავს, მტერი და მოყვარე მისი პატივისცემის გულისთვის ურიგდებოდენ ერთმანეთს, ერთმანეთს ზურგს აყრდნობდენ. ეს იყო მტკიცე საერთო პრინციპი, რომელიც ყველას აერთებდა. ამ ერთობის პრინციპით ცოც...ლა თვით ერი. განა და ესევე ერთობის პრინ... ...რ აცოცხლებს ყოველს ერს დედამიწის ...? ის არის მისი სული და სანამ მას ეს სული არ აძობდია, მისი სიცოცხლე და... ...ბა უზრუნველ ყოფილია. ვინ იტყვის, რომ ... ...თველოს ერს წარსულში ბევრი ცუდი მხარე... ჰქონოდეს? დღევანდელი მეცნიერების შეხედულ...ებით იგი ბევრში არ არის საქები და მხოლოთ წარ...სულზე ჩვენი იმედების დამყარება უგნურებაც იქნებოდა; მაგრამ მაგიერათ მას ჰქონდა თავისებური საერთო არსებობის პრინციპი შესისხლ-ხორცებული, ეს მისი მაცოცხლებელი სული, რომელიც დღესაც იდეალათ მისაჩნევია. მას უნდა ვეტრფოდეთ, მასში უნდა ვპოვებდეთ განახლების ძალას. მაგრამ შერჩათ თუ არა ქართველებს ეს სული, ეს ერის გამაცოცხლებელი პრინციპი? ამის პასუხათ საჭიროა ჩვენი დღევანდელი ცხოვრება თვალწინ წარმოვიდგინოთ. ვნახოთ, რა დამართია დღევანდელს ჩვენს ცხოვრებას, რას ჩადიან ჩვენი მოწინავე შეგნებული დასები, როგორ მაგალითს გვიჩვენებენ ჩვენი ერის გზის მაჩვენებელნი?.. დღეს მთელი ჩვენი ქართველობა შეიძლება ორ დამახასიათებელ სქემათ გავყოთ. ერთია —„მე"—მეორეა —„ის". ეს ორი ერთმანეთის მოწინააღმდეგე გამანადგურებელი ბანაკია. მათ შორის არავითარი საერთო აღარა არისრა. თითოეულს მათგანს თავისი საკუთარი საქმე მოუნახავს, რომელშიაც მეორე წილს ვეღარ დაიდებს, რადგან ეს მეორე პირველის მეკრიტიკეა, მაშ მის დაუძინებელ მტრათაც გამხდარა, რომელთანაც საერთო აღარაფერი აქვს სიკვდილის მეტი. აიღეთ რა საქმეც გინდათ. ყოველგან ეს „მე" დაუძინებელი მტერია „მისი" და „მასთან" ვერ მოთავსებულა. ვერც მოახერხებს მასთან ერთად საერთო ულლის წევას. ავიღოთ მაგალითათ ორი რომელიმე ჩვენი უპირატესი მოღვაწეთაგანი და დავუგდოთ ყური, როგორ სჯიან? პირველი იძახის: „მე" ამა და ამ საქმეს ვაკეთებ და „ის" ამ საქმეში ჩემი მოწინააღმდეგეა. მაშასადამე „მე" მასთან საერთო აღარა მაქვსრა. ჩემი გამარჯვება მისი სიკვდილია, ხოლო „მისი" გამარჯვება ჩემი სიკვდილი. ჩვენი ერთათ ცხოვრება, საერთო მიზნით მუშაობა მოუხერხებელია. „მე" მიმაჩნია, მაგალითათ, ბანკი ქვეყნის აღმადგენელ საქმეთ. „ის" ამაში მეკამათება. სხვა ღონე არ არის, ან „მე" უნდა მოვკლა „ის", ან „მან" უნდა მომკლას „მე".

ავიღოთ სხვა მაგალითები.

1) ვთქვათ, „მე" ვემსახურები „წერა-კითხვის" საზოგადოებას. „მას" არ მოწონს ჩემი მოქმედება, „ის" მეკამათება. ჩემის აზრით, „ის" არის ... დამქცევი, „მე" ქვეყნის აღმადგენელი ... ჩვენ შორის ძაფია გაწყვეტილი. ან „... ან „მე".

2) „ის" ემსახურება სკოლის ...

წესი სამსახურისა მავნებლათ მიმაჩნია. „მე“ „იმას“ კამათობ. მაშ „მე“ გავმხდარვარ „მისი“ დაუძინებელი მტერი. ან „ის“ უნდა იყოს, ან „მე“; ორივესი ერთათ მუშაობა რამე უფრო ვრცელ საასპარეზო საქმეში წარმოუდგენელია. ქვეყნის ხსნაც ამას მოითხოვს: ან „მე“ უნდა მოვკლა „ის“, ან „იმან“ უნდა მომკლას „მე“.

3) „იმან“ დაიწყო რამე საქველ-მოქმედო საქმე. „მე“ მისი მოქმედება არ მომწონს, დავუწყე კამათი. ამას შემდეგ გაწყდა ჩვენ შორის კავშირი. ამიერიდან სამარის მეტს ჩვენი შეერთება აღარას შეუძლია-რა. ან „ის“ უნდა იყოს, ან „მე“; ორივეს ერთათ მოქმედება რაიმე საერთო საქმეში აღარ შეგვიძლია. ცხადია, ან „მან“ უნდა მომკლას „მე“, ან „მე“ უნდა მოვკლა „ის“. სხვა უფრო ვრცელი საერთო ასპარეზი ჩვენ შორის შეუძლებელია.

4) „მე“ დავიწყე თეატრის გამართვა, შევადგინე მსახიობთა დასი, დავიწყე თამაშობა. „იმას“ ჩემი თამაშობა არ მოეწონა, დამიწყო გაზეთში კრიტიკა. ამიერიდან გადავეკიდეთ ერთმანეთს და შევიქენით დაუძინებელი მტრები. ჩვენ შორის სიკვდილის კარამდის საერთო აღარა არის-რა. ან „ის“ უნდა მოკვდეს, ან „მე“. ორივეს საერთო საქმეში ერთათ მუშაობა აღარ შეგვძლია.

5) „მე“ დავიწყე რაიმე საწარმოებელ—სამრეწველო საქმე. „ის“ ამ საქმეში გადამელობა. გაწყდა ჩვენ შორის შემაერთებელი ძაფი საუკუნოთ. „მე“ შევიქენი „იმისი“ მტერი, „ის“ გახდა ჩემი მოსისხლე მტერი. ჩვენ სიკვდილამდე უფრო ვრცელ საერთო საქმეს ველარ დავადგებით. ამიტომ ან „ის“, უნდა მოისპოს, ან „მე“.

აი, დღევანდელი სურათი ჩვენი ერის ცხოვრებისა. ყოველ კაცს, ყოველ ჯგუფს, ყოველ წრეს და ყოველ დასს თავისი საკუთარი საქმე გამოუწყია და ამ საქმეში ხედავს იგი ქვეყნის ხსნას. გარეშე ამ წვრილმანი საქმისა, რომელიც მას სარჩო-საბადებელათ გაუხდია, თუ კიდევ არის რამე სხვა უფრო დიდი, უფრო ვრცელი ასპარეზი, რომელსაც შეეძლოს მტრისა და მოყვრის ერთათ შეერთება, ერთი მიზნისთვის მოქმედება, აღარ ჰგონია და ველარც წარმოუდგენია. ამ სახით ყოველი ჩვენთაგანი მიგდებულა სადმე ყურეში და იქიდან უმზადებს ყუმბარებს მის მოწინააღმდეგეთა. ბოლოს იმდენზე მიაღწია ამ ჩვენმა წვრილმანობამ, რომ ორი ვინმე საუკეთესო ჩვენი მოღვაწეთაგანი ერთათ რომ ვახსენოთ, იმასაც კი გვიჯავრდებიან. ამ სახით სრულიად გამქრალა ჩვენს ხალხში ის საერთო პრინციპი, ის ერის ერთობის გამამტკიცებელი სული, რომლის პატივისცემით თითოეულს ჩვენთაგანს უნდა შეძლებოდა დაევიწყებია თავისი წვრილმანი ანგარიშები, თავისი წვრილმანი უკმაყოფილება, რომ საერთო მიზნისთვის გაემართა თვალი და იქ ეძებნა გულის მოსაფონებელი შერიგებითი განწყობილება. როდესაც ხალხის საშოდან გამოსულს მეკვლეებს აღარ ასულდგმულებს საერთო მიზნისადმი მტერ-მოყვრიანათ ლტოლვილება, მაშინ უნდა ვიცოდეთ, რომ ერს საერთო პრინციპი, ეს ცხოველ-მყოფელი სული უკვე ამოხდია და იგი ლეშათ ქცეულა. აი, მკითხველო, ის მწარე ფიქრები, რომელიც აღგვეძრა ჩვენ ამ წლის გასულს და რომელმაც თითოეული ჩვენთაგანი ღრმათ უნდა დააფიქროს და დაამწუხროს. ამ მიმავალ საუკუნეში იმ ძველებური სისტემის და დისციპლინის დაკარგვასთან ერთათ, საერთო საქმისადმი ლტოლვილებაც გაგვიქრა. დავწვრილმანდით, დავექსაქსეთ და ერთმანეთის აღარა გვეყურება-რა, აღარა გვრწამს-რა. ჩვენმა დაწვრილმანებამ აღაშენა ის ბაბილონის გოდოლი, ენათა და სმენათა არევა, რომლის შედეგი მტვრათ ქცევა უნდა იყოს, მეტი არაფერი. სანამდის ერს საერთო ლტოლვილების საგანი არ დაკარგვია, მას კიდევ არა უჭირს-რა და ბევრს მწუხარებასაც გადიტანს, მაგრამ თუ ეს გამამხნევებელი ცხოვრების ნაპერწკალიც გაუქრა, მაშინ კი მშვიდობით.

დიდებული მოხუცი ირაკლი **1795** წელ'ს ანანურის დარბაზში მხოლოთ იმას წუხდა, რომ მისი პირადი გმირობა ულმობელმა დროთა ბრუნვამ მტვრათ აღგავა, მაგრამ იმას ერთი ნუგეში მაინც ამხნევებდა. ეს იყო ის ნუგეში, რომ იგი ტოვებდა თავის ერს მაღალის პრინციპით აღჭურვილს. მაგრამ რაოდნათ ათასჯერ უფრო სასოწარკვეთილებით გაუსკდებოდა იმ საცოდავს გული, დღეს, ას წელს შემდეგ, რომ სამარიდან ამოეხედა და შეეხედა ახლანდელი ქონდრის კაცებისათვის, რომელთაც გარდა საკუთარი მუცლისა, სხვა აღარა უჩანთ-რა კერპათ.

გ. წერეთელი.

№ 1—1091

# საახალწლო კრიმანჭული.



### ქართველობას

იდან დაიწყო, ქართველო,
მეტათ ბევრი მაქვს სათქმელი,
ვერ ვბედავ, ვერ ამიხდია
ტანჯული გულის სარქველი. .
ნულარ ჰკვნეს ეგრე საბრალოთ
ადგე, კმარა ძილია!
თორემ რას გიზამს მარტოკა
აკაკი, ანუ ილია?!
ჰძებნე ახალი მკურნალი,
ჰკურნე სნეული სულია,
სვი განათლების შარბათი,
ახარე მით მამულია.
ადგეგ ნუ ქშინავ მწუხარეთ,
აღიძარ გულს იმედია,
ძველათ განთქმული გმირი ხარ,
ვერ დაგძლევს მწარე ბედია!..

### ქართველ ინტელიგენციას.

ისმინეთ ერის ბელადნო,
თქვენზე მოვმართე ჩანგური,
თქვენ გიმზერთ მთელი ქვეყანა,
თქვენა ხართ ხალხის სანთური.
როდის შეწყდება თქვენ შორის
ლანძღვა-გინება, შურია,
ჩინ-კაკარდების წყურვილი,
ბატონთა მიერ სმულია?!
როდის-ღა გაგემართებათ
მხდალი, მონური ქედია,
ნუ თუ ცხოვრების მჭედელსა
მიწაზე მიუჭედია?!
როდის-ღა აყვავილდება
გმირათ საერთო სულია,
როდის შერისხავთ, დაწყევლით,
რაც ერისაგან კრულია?!
გვითხარით, როდის დადგება
ეგ სანეტარო წამია,
კმარა ამდენი ლოდინი,
მომწიფდა დრო და ჟამია!..

### ქართველ ქალებს.

დედავ ქართველთა გმირების,
ამირანისა მშობელო,
ტურფა კოლხიდის, ივერის
ვარდო სინაზით მკობელო,
რისთვის შეგცვლია ეგ გული
ვაჟკაცთა გულის მპყრობელო?;
ნუ თუ არა გწამს სამშობლოს
წარსული, მომავალია.
მისთვის მდუმარებ, შევნებავ,
მიტომ აგებნა კვალია?!
ნუ თუ ამისთვის ანებე
შვილებს და ოჯახს თავია?
არ იცი, სად მიგაცურებს
ცხოვრების ურდო ნავია?!
არა, თამარის ასულო,
იქეც ქართველი ქალია,
აფრქვიე გრძნობის წამალი,
აგვივსე გულის ფალია;
იფეთქოს, ბარემ იფეთქოს,
მტერსა დავთხაროთ თვალია!
გაჩხრიკე კერა ერისა,
შთაბერე სულში ძალია,
ჩაჰკვესე ცეცხლი, ჩაანთე,
აღძარ გმირობის ალია;
მაშინ შეგძახებთ ვაშასა,
მაშინ იქნები ქალია!..

### ყველა „ბარონებს“

ტანცი-მანცი, კოპწიობა,
სულ ხუნტრუცი, სულ სიცილი,
რა კარგია, რა კარგია,
ეს ამ გვარი სულის ძილი!..
უსაქმობა, უდარდობა,
მუსიკა და კავალრები,
რა კარგია, რა კარგია,
ნეტარებით მდის ცრემლები.
სულ შლაპები, სულ კაბები,
სულ ტუფლი და სულ მოდები...
რა კარგია, რა კარგია,
ძილშიც იმათ ველოდები.
ვალსი, პოლკა და მაზურკა,
სიყვარული, რომანები...
რა კარგია, რა კარგია,
მათთვის ჯვარზე ვეწამები.
ამ ხტუნვა და ამ ფრენაში
მიჰქრიან სულ ეს დღეები...
მიყვარს, მიყვარს ეს ცხოვრება,
ღმერთსა გულით გეფიცები!..

### ქართველ „პოეტებს“.

ვინც კი არჩევს ქართულ ან-ბანს,

დიდია, თუ ყაზილარი,
ყველა პოეტათ გამხდარა,
ყველა შექმნილა მწერალი.
რაღა გვიჭირს ქართველობას,
თითქმის ყველა „პოეტია“,
„სული“, „გული“, „დადაგული“
თუ რითმებში ჩაეტია.
ერთი ნადსონს მოგვაგონებს,
სულ მუდამ დღე მტირალია,
მეორე კი ბაირონობს,
მოწყენილი და მწყრალია.
ერთი აგერ ვარსკვლავთ ეტრფის,
სულ ზეცაში იმზირება,
მეორე კი ცხოვრებას გმობს,
იწყევლება, იგინება,
რიფმა, რიფმა ხორიალა,
უნიჭობა, უაზრობა...
ეგ რა რისხვა მოგვევლინა,
უბედურო ქართველობა..

### სოფლის მასწავლებელთ

ერის გულში ჩაგიცურავთ,
მაშ, მოჰფინეთ განათლება,
ერის ძალა, მყობადი
მხოლოთ თქვენში მეგულება.
შეიფიცნეთ ყველამ ძმებათ,
ახლა გმართებთ დევ-გმირობა;
გრწამდეთ ერის მომავალი,
შეიყვარეთ ქართველობა,
ნურაფერი შეგაშინებთ,
ნურც ბორიო, ნურც გრიგალი,
უკუღმართი მეთოდებით
ნუ გებნევათ გზა და კვალი,
მაშ ჰოპუნა, ჰოპუ, ძმებო,
მოუქნიეთ ცელ-ნამგალი!..
ექომაგეთ მუშა ხალხსა,
ალუზარდეთ მათ შვილები,
მაშინ გაქებსთ მთელი ერი,
და გადიდებსთ ყმაწვილები...

### ახალ მოდის მოაზრეებს.

საქართველოს ჰორიზონტზე
მოჩანს ჯგუფათ მოაზრენი,
ახალ-ახალ მოჯირითით
გავსებულა სპარაზენი.
ერთი კაკარდოსანია,
განდეგილის ადევს ფერი,
სულ ტუჩებზე აკერია
ლემეტრი და ბრუნეტერი;
ძილ-ლვიძილში ელანდება
ხატები და მონასტერი.
მეორენი მარქსისტობენ,
ხელთ უპყრიათ „კაპიტალი“,
დას-დასებათ დაყოფილან,
ღირსეულიც ყავთ სარდალი.
აღუმართავთ მუცლის დროშა,
ბიჭებია დევ-გმირები,
სულ მოყვრებათ ჩაურაცხავთ
უძინარი ჩვენი მტრები.
ენგელს-კაუტსკ, სტრუვე-ბელტოვ...
გაიძახის მათი ენა,
სთურგნეს ჩვენი ეროვნება,
დაგვიმცირეს დედა-ენა.
ვაშა ახალ მოაზრეებს,
ახალ გმირებს გამარჯვება!..

### გაზ. „ივერიას“

ალდეგი, კმარა, ნუ გძინავს,
გადიცვი ძმაო, ჯავშანი,
ხელთ იპყარ ხმალი ქართველი,
გვაჩვენე ბრძოლის ნიშანი.
ჰკაფე ბოროტის ეკლნარი,
ნუ შეგაშინებს მტერია,
ეკვეთე უსამართლობას,
იყავ ჩაგრულთა მცველია.
შამოიკრიბე ვაჟკაცნი,
ყმაწვილნი საქებარია,
მშრომელი მხნე და სწავლული
სიმართლის მაძებარია.
წინანდელ თანამშრომელებს
გირჩევ არიდო თვალია,
იმათ შეგყარეს სნებასა,
მათ აგირიეს კვალია.
უყივლე ქართველ მამაცებს,
კუბოს აჰყარეთ ჰერია!
ჰე, მაშინ გაქებს ქვეყანა,
მაშინ გადიდებს ერია!..

### ჟურ. „მოამბეს“

ჯერ ოთხი წლისაც არა ხარ,
ჰალარა გამოგერია,
მოხუცდი დაჩაჩანაკდი,
გაგცვივდა თმა და წვერია.
წაგსვლია, ღონე და ძალა,

აზრები შეგთხელებია,
ინგლის-პოლონურ თარგმანით
ჯვარს აცვი მკითხველებია.
შამოგირეკავს ერთგულნი
შენი ბურჯი და ფარია,
ვანო და ალექსანდრენი
ბატონათ შეგიფარია.
ბედაურები გაგშორდენ,
სხვებს დარჩათ მოედანია,
დაჯდე და ბევრიც იტირო,
რას გარგებს კაეშანია!..

გაზ. „კვალს“

გასწი გუთანო, გაჰკვეთე,
სწორათ გაიყვა კვალია,
თუმც მაგარია ყამირი,
მაგრამ რა შენი ბრალია!
ნუ შეგაშინებს ქარ-ბუქი,
ნურც სეტყვა, ნურც ავდარია;
სწყვეტ უმართლობის ლენცოფას
სიმართლის მაძებარია.
ეჰ, გუთნის დედავ, დაჰძახე!
მეხრევ უთხარი ბანია.
დააგუგუნეთ სიმღერა
ძველთაგან საქებარია.
გალესე სახნის-საკვეთი,
აგლიჯე მწვირე-ქანგია,
უცვალე კილო გალობას,
შეჰცვალე მარქსის ჰანგია:
ქართველს ეგ გვარი სიმღერა
არ შეენის და არც არგია...

გაზ. „მწყემს“

ხელთ იპყარ მწყემსო კომბალი,
იყავ ქართველთა ფარია,
არ გაატანო ნადირებს
ეგ საყვარელი ცხვარია;
გვასწავლე ენა სამშობლო,
სიტყვა გვასმინე ძმურია,
ჩათესე სამწყსოს გულშია
ერობის სათესურია.
მოჰფინე სწავლის ნათელი,
ბრმებს აუხილე თვალია,
ალაპ-ქელეხის მაგიერ
ღვდელთ ამცნე წმინდა ვალია.

გაზ. „მეურნეს“.

რათ ჩამოგტირის, საბრალოვ,
სულ მუდამ ეგ თავ-პირია?
—„რავა არ ვტირი, ბატონო,
დღე მადგას გასაჭირია,
რა დავიბადე, მას აქეთ
ერთიც არ გამიცინია.
ჯერ ლალათ მყავდა ზარმაცი,
მოჰკლა მთავარი ტვინია,
ახლა მპატრონობს ვილაცა,
ყბედი და უმწიფარია,
არ მესმის მეურნეობის
ნასახათ ერთი ცვარია;
დამტვირთავს დამპალ მასალით,
—რისხავდეს წმინდა ილია,
ვჩანჩალებ სოფელ-სოფელში
პირშავი, შერცხვენილია,
იქ მუშა ხალხსა ვატყუებ,
აქა მსვრის პურის ფქვილია...

გაზ. „ცნობის ფურცელს“.

თუმც სამი თვის ხარ, ბალანავ,
ტუჩზე რძე შეუმშრალია,
მაგრამ ცქვიტი ხარ, მალხაზი,
ცქრიალა, ვერცხლის წყალია.
გებულობ ცხელ-ცხელ ამბებსა,
ყველგან გიწვდება თვალია,
ვერ დაგემალვის ვერსადა
ვერც თხის, ვერც ცხენის პარია.
ჩხრეკ პოლიციის არხივებს,
იცი, რაც შენი ვალია.
ტიტინებ, რაც მოგადგება,
ხან ტყუილი, ხან მართალია...
იზარდე, შვილო, იზარდე,
მოძებნე სწავლის კვალია,
შეიქენ გმირი ქართველი,
მტერს დაუყენე თვალია!...

სისონა მეხანგურე.

# საახალწლო ფიქრები.

ადამიანი ბუნებითი მტერია ერთგვარობა-ერთფეროვნებისა. მას გულით ძაგს ცხოვრებაში ერთნაირობა და „დღეთ სიკვდილამდის“ ცდილობს, რამდენათაც ძალ-ღონე შესწევს, თვისი არსებობა ამ სოფლათ სხვა-და-სხვა ნაირი ჰანგებით ასხვადასხვაოს. რა არის ახალი წელიწადი? სად იპოვება ისეთი ბრძენთა ბრძენი, რომ ახალი წლის არსებობა შეატყობინოს, მისი ადგილი გვიჩვენოს ქვეყნიერებაში? ახალი წელი-ცარიელი სიტყვაა, ადამიანის გონების შემოქმედება, არსად არ არსებული, უსახო და უსხეულო, მტკნარი ეთერი, ადამიანისაგან თავის შესაქცევათა და თვალის მოსატყუებლათ გამოგონილი. დროს, ჟამს არც დასაბამი აქვს, არც დასასრული, და ეს დაუსაბამო და დაუსრულებელი ცარიელობა დაჰყო ადამიანმა პაწ-პაწია უჯრებათ და ამ ფანტასტიურ უჯრებს წლების სახელი დაარქვა, იმ იმედით, რომ მისი ბედ-იღბალი ახალ-ახალ წლებს ახალთ-ახალი შინაარსითა და სანუკვარ-ტკბილეულობით აუვსებს და მის გულს ახალ-ახალ სიამეს მოჰფენს.

თქვენ თითონ განსაჯეთ, ბატონებო. დედამიწა დინჯათ და დაუღალავათ დასტრიალებს სხივ-მფინარე მზისა-მანათობელსა, ხან პირს მიუშვერს ხოლმე და ხან ზურგს, და მისი ბრწყინვალე მანათობელი ცეცხლით იკვებება. ხოლო დედამიწა, დაუსრულებლათ მგზავრ-მსრბოლი წიაღსა შინა ეთერისასა, თვის გზაზე სადგურ-სავანეთ ვერ ხედავს. მაშ რათ ატყდება ხოლმე არ არსებული წლების უხილავ მიწურულებში ჩვენ პაწია ბურთუნა დედამიწაზე, მის პაწია დღიურ ცხოვრებაში და ჟურნალ-გაზეთუნებში ერთი მხიარული ალიაქოთი და ზარების რეკა: „არიქა, მიაწიეთ ახალ სადგურს, გამხნევდით, მხათ იყავით, ამას იქით უფრო მხიარული, უფრო სანეტარო, მწვანე შვენიერებით გარშემოფენილი გზატკეცილი გადაგვეშლება თვალ-წინაო!“

ეს ზარი ტკბილ-მჟღერალი ადამიანის სულშია განგების ხელით ჩამოკიდებული და მას იმედი ჰქვია სახელათ, და ეს იმედია ადამიანის დამაკავშირებელი დედამიწასთან, მისი უკვდავი, მაცოცხლებელი ნუკეში. უიმედოთ წარმოუდგენელია ადამიანის არსებობა ამ ქვეყნათ: იგია მისი სულის ჩამდგმელი, ამ წუთისოფელში მისი არსებობის მანათობელი ლამპარი.

„ახალი წელიც“ ამ იმედის შემოქმედებაა, მისი მკვიდრი შვილია, და ამ თავის ნაშობს ახალ იმედს ევებება ადამიანი თავისი ძველი იმედის მიწურულში ცოცხალი, ტკბილ-მხიარული ჟღერითა.

თვალი გადავავლოთ ახლა დედამიწის უშვენიერეს კუთხეს, ჩვენ კეკლუც-პაწია სამშობლოს. სწორეთ საყვარლათ სულის კოლოფში ჩასატევ-სატარებელია ჩვენი ერთი ბეწო ქვეყანა, შიგ რომ ლამაზი მშვიდობიანობა, მწყობრი ბედნიერება სუფევდეს. დღეს კი ჩვენი ქვეყნის სული სამწუხარო აურ-ზაურია და ამ აურ-ზაურში თითქმის მიმქრალია საიმედო ექვნების ტკბილი ხმოვანება.

რა მოგვცა ჩვენ ძველ-გავლილმა წელმა და რას უნდა მოველოდეთ ახალი წლისაგან? ძველი წელი ჩვენი შინაგანი განხეთქილების, ერთ-ურთისადმი „ვააფთრებული“ მძულვარების წელი იყო, პაწია ერის თითქმის უჩინარი წინარაზმი, თავისი ქვეყნის მანათობელათ მოწოდებული, განგებისაგან ნაჩვენებ გზას გადაუდგა, ღვთისაგან ნაბოძები ნიჭი ბნელეთში დაფლა და მოიმკო ნაცვლათ მწარე გლოვა-ვალალი და კბილთა ღრჭენა. აქ, ჩვენში, ნათლათ გამოცხადდა მსოფლიო მცნების ძლიერება: გამართლდა აზრით უკვდავი, დიდებული იგავი. თუ ადამიანმა ზეცით მოვლენილი და მის სულში შენახული ნიჭი არ ამუშავა და არ ასაზრდოვა, ცხოვრების სასარგებლოთ თუ არ გასცა, მისი ყოფნა ამ წუთი-სოფელში გამწარებული „კბილთა ღრჭენა“, გულის მომწყვლელი უიმედობა იქმნება. ჩვენ კი ჩვენი ღვთიურ-ადამიანური ნიჭი ერთურთის მძულვარებაში დავხარჯეთ და დღეს თითოეულ ჩვენგანს მძიმე ტვირთათ აწევს ამის სამწუხარო შედეგი: სულით ობოლ-მარტოობა, საზოგადო მიზნისა და საქმის მწარე უქონლობა, იმ ნათელი საქმისა, ურომლისოთ ვერ ცოცხლობს ინტელიგენცია, მისი ცხოველი ძლიერება მკვდარი ძილით არის პყრობილი. ამის მიზეზი თვით ჩვენა ვართ და პასუხის მგებელნიც ჩვენ ვიქნებით საბოლოოთ ჩვენი სინიდისისა და ჩვენი ერის წინაშე.

ადამიანის ნიჭის შინაარსი, მისი შინაგანი აზრი, მისი ფილოსოფია თვით მისივე ბუნება არის. ამ ნიჭის ბუნება მკაცრათ თხოულობს თავის გამოქვეყნებას, თავის გამოცხადებას. მთელი კაცობრიობის, მთელი მსოფლიო სულის ნაშობია თითოეული ადამიანის ნიჭი და ამიტომ მას ბუნებით თან დაყოლილი აქვს ადამიანთა საზოგადოებისადმი მისწრაფება, წმინდა ადამიანური წადილი. ცხოვრების ნაშობი, ნიჭი, ცხოვრებასვე მიელტვის, მასთან შესისხლ-ხორცება, მისი გაწმენდა-გასპეტაკება სწადს. და ადამიანმა თავის ბუნებითს ნიჭს ნათელი მიზანი თუ არ აჩვენა, ცხოვრებაში გზა თუ არ მისცა, იგი მის გულში დაგუბდება ხოლმე და ამ გულს უწყლავს და ჰქენჯნის სიკვდილის დღემდის.

—განათლებული ადამიანი, ინტელიგენტი მოვა-



ნუგეში.



მ ე ჯ ვ ლ ე.

ლეა თავის ქვეყანას ემსახურროსო,—ხშირათ გვესმის ხოლმე დაძველებული სიტყვები. ქვეყნის, სამშობლოს სამსახური ინტელიგენტის მოვალეობა კი არა —მისი სიცოცხლეა, მისი ცხოველი ბედნიერებაა; და განა ჩვენი ბედნიერება ჩვენივე მოვალეობა არის? ინტელიგენტის განათლებული ნიჭი ქვეყანას ასაზრდოებს, ცხოვრებას ჰკვებავს, ჰკვებავს, ვით მშობელი დედა თავის ბალღს ტკბილი ძუძუთი და ბალღის ზრდა და მოწიფება დედის მოვალეობა კი არა —მისი ცხოველი სიხარული, მისი ნათელი ნეტარებაა.

დედას, მშობელს მისი წმინდა, ნათელი გრძნობა მთელი კაცობრიობის ცხოვრებამ, უხილავი განგების ძლიერებამ, გადმოსცა და დაუმკვიდრა გულში. ინტელიგენტსაც, განათლებულ ადამიანსაც მისი გულისა და გონების შინაარსი მემკვიდრეობით ხვდა მთელი კაცობრიობისაგან; მთელი კაცობრიობის ნაფიქრ-ნაგრძნობი ცოცხლობს განათლებული ადამიანის გულში და ამიტომ იგი ქვეყნის კუთვნილებაა, ქვეყანა უნდა ჰკვებოს, ქვეყანას უნდა ემსხვერპლოს; უამისოთ განათლებული გული უსიცოცხლო, მკვდარი და კარ-დახშული სამარეა.

ცხოვრების ნაშობს მხოლოთ ცხოვრება ჰკვებავს და ასაზრდოვებს.

დღევანდელი ქართველი ინტელიგენტი თავისუფალი მაყურებელია თავისი მშობელი ქვეყნისა. იმასა და მის სამშობლო ნიადაგს შორის კავშირი სუსტი, მოდუნებულია. ჩვენ და ჩვენი სამშობლო არა ვართ ერთ-სული და ერთ-სხეული და ამიტომ მისი ნაღვლიანი გულის ძგერა და სულის შფოთვა ჩვენი გულის ძგერა და სულის შფოთვა არ არის. განმარტოვებული ადამიანი ბრმა, უსინათლო არსებაა. მხოლოთ თვის მზგავსთა თანა ერთობა, მტკიცე სულიერი კავშირი აუხელს თვალებს ადამიანს და აჩვენებს იმ იდუმალობას, რომელსაც სამშობლოს უძახიან.

მაშ, ნუ თუ ჩვენ თვალ-წინ გადაშლილ ახალ წელსაც ჩვენი ძველი უიმედობის ფერი უნდა დაედვას? ნუ თუ მცირე რამ ნუგეშსაც ვერ ვპოვებთ ჩვენ დღევანდელ ცხოვრებაში?—ნუ თუ „არსაით ხმა, არსით ძახილი?"

ჩვენივე გულის ს ალ ადამიანურმა ბუნებამ უნდა გვკურნოს ჩვენ, და ეს არის ჩვენი ერთათ ერთი საახალწლო იმედი. ადამიანის გულს ბევრი შეუძლია. მის სიღრმეში ცოცხლობს უშრეტი, ღვთიური ცხოვრების წყარო და იგი მოჰბანს მას უიმედობას და მწარე ნაღველსა. ჩვენი მოახლოვებული განახლების ნიშანი ჩვენი საერთო უკმაყოფილება, ჩვენი საერთო მწუხარებაა. თითოეულ ჩვენგანს წყურია ერთობა, წყურია ცხოვრების მიზანი, წყურია ღმერთი და ეს ჩვენი გულის წყურვილი გვაჩვენებს და მიგვაგნებინებს ჩვენ ერთობას და ღმერთსა, ცხოვრების მიზანს. ჭეშმარიტი განათლება ისეთი ძალაა, რომელიც საბოლოოთ გაიკვლევს გზას ცხოვრებაში. ჩვენი ახალი თაობა კი დღითი-დღე იზრდება გულითა და გონებით და თავის თავსაც და თავის ქვეყანას უშველის ჩვენი დღევანდელი მდგომარეობის შეგნებითა და მტკიცე ერთობით.

ჩვენი წვრილმანი შინაური განხეთქილებას მიზანს რომ დავუკვირდებით, საბოლოოთ ვიტყვით რუსთველურათ: „იგი ჩალათა არა ღირს, მისთვისვე შეგვიწონია".

ი. ნაკაშიძე.

---

## საახალწლო.

ჩალა უშავს საქართველოს,
მის მომავალს, ბედისწერას,
მის იმედებს, მისწრაფებას,
ნაანდერძებს გულის ძგერას:
მას შვილები გაუნათლდენ,
წერა-კითხვას მიჰყვეს ხელი,
თითოეული რედაქტორობს,
უგნური და გინდა ხელი!..
სხვის გაზეთში რაღათ დაწერს,
გაზეთი ხომ თვით ექნება;
გალანძღვის და მოჭორების
მიენიჭვის სრული ნება.
განა ხალხზე იფიქრებს ის,
ან ადევნებს მწყესებრ თვალებს?
არა!—ნახავს ხელის ჭუჭყსა
და ჯიბეში იჩხრიალებს!..
ამ იმედით სულდგმულობენ,
იხარებენ სულსა და გულს,
ცხვირი ზევით აუღიათ
და უვლიან ბუქნით ფერხულს...

### პირველი მოფერხულე.

ერთი ჯგუფის მეთაურნი
გენიოსათ ყველგან მთელიან,
მენელიკათ მიწოდებენ
და თავაზით თავს მიხრიან...

თავმჯდომარეთ ამირჩიეს
დიდი საქმის განსასჯელათ;
მოკამათეთ მიკიჟინეს
და ჩამთვალეს გიჟათ, ხელათ...
მიზანს მაინც მივაღწიე:
მეც კიჟინა დავაყარე,
ცამეტივე დავამარცხე,
ერთის გული გავახარე.
მაგრამ ბოლოს სარმა გამკრეს, —
წამოვედი ყირამალა,
ცამეტმა კვლავ გაიმარჯვა,
ერთს მოუსპეს სულის ძალა...
ახლა მინდა სხვაფრივ ბრძოლა,
მოვითხოვე ჩემთვის წყარო,
მსურს ცამეტი დავამარცხო
და ის ერთი გავახარო...
თუმც არ ვიცი ქართული მე, —
მეტოლება ივანიკა,
მიშო, ნიკო და მეკვერცხე
თვით ხონელი კიკოლიკა...

მეორე მოფერხული.

აქამდის მე კალენდრებით
საქართველოს გავეცანი,
კომედიით და დრამებით
გავაკვირვე თითონ ცანი;
ახლა ვიგდე გაზეთიცა
და ჩავბერე ბუკ-ნაღარას...
ბევრს მოვჭორავ შავთმიანზე,
შევუღლანძღავ ბევრს ჭაღარას.
რაც რომ ბაზარს ენატრება,
იმას დავწერ, რომ იამოს;
პოეზიამ, პოლიტიკამ
ფეხის ქირიც კი მომჭამოს!..
ნობათებსა დავპირდები, —
გამოიწერს გაზეთს ყველა;
ფულს გავიჩენ... ეშმაკობით
ვერ აჯობებს მეერელს მელა...

მესამე მოფერხული.

აღარ მინდა, რომ აწ დავრჩე
ნეიტრალი ნეიტრალათ!
ღმერთმან იცის: იმათ რიცხვში
მე ჩამწერეს ძალის-ძალათ,
თორემ ჩემი აზრი, ფიქრი
და რწმუნება ყველა ერთათ
„ერთის“ არის ყმა და მონა
და იგი მრწამს ჩემდა ღმერთათ;
მე იმ „ერთის“ დასახმარათ
უნდ გამოვსცე გაზეთი „ხმა“,
რომ შემუსროს მისმა ძალმა
მისნი მტერნი, როგორც მეხმა!
მეც ხომ სახელს გამიდიდებს,
შეძლებასაც მომიმატებს
და მეტოქეთ წინ გავირეკ
სიცილ დაყრით, როგორც ბატებს!..

მეოთხე მოფერხული.

მეც მინდოდა, დავენიშნეთ
რედაქტორათ გაზეთისა,
აღარ მქონდა მორიდება
არც კაცის და აღარც ღვთისა!..
მომაძახეს ყოველი მხრით:
„ახ, ჩერჩეტო პეტრიკელა!“
ზედ დასძინეს „მეჭორეო“
და გამიდგენ განზე ყველა;
სასაცილოთ აღარ ეყოთ
ჩემი აზრი და განზრახვა, —
ამოვკვეთე ყველგან ფეხი
და დამიდგა დიდი მარხვა!..

—

კიდევ ვხედავ მათთან სხვებსაც
და იმათთან ხელაძესა,
მარჯვეს, მკვირცხლს და მოხერხებულს
მესტამბესა ძველით-ძველსა...
ყველა, ყველა გაზეთს ელის, —
ყველას ატკბობს სიხარული...
ვაჰ, საბრალო წერა-კითხვავ,
როგორა ხარ დაჩაგრული!..

ქართველ ლიტერატორებს.

საპირადო კამათობას
აყოლიხართ თითქმის ერთათ:
ჭორი, შური, ლანძღვა, თრევა
მიგაჩნიათ საგნათ, ღმერთათ;
„მე“ და „ისო“ გაიძახით,

კავშირსა წყვეტთ ძმასთან ძმურსა,
ერთს ჰფიქრობთ და მეორეს წერთ,
ეშმაკს უწევთ სამსახურსა;
კერპებს იჩენთ სათაყვანოთ,
თავსა წირავთ მათ მონებას,
აღარაფერს არ აუბნებთ
უიმათოთ თქვენს გონებას!—
და თქვენ კიდევ მიგაჩნიათ
თავი თქვენი ქვეყნის მხსნელათ...
ვფიცავ, მდუღრით დავფუფქავდენ,
რომ გეცხოვრათ ჩვენში ძველათ.

### ქართულ თეატრს.

ქართულ თეატრს იშვიათათ
მოსწრებია კარგი დარი,
წლეულს ხომ სულ დაუზამთრდა
და შეიქნა გულ-დამწვარი;
დღეს გულ-ცივი ქართველობა
მისგან სადღაც მიიმალა,
„სამშობლო“ და „ხათაბალა“
ოპერებზე გადაცვალა.
ვერც აცდება ის ამ გზასა,
თუ ახალს ვერ შეიგულებს
და უგვანო პიესებით
ფერ უცვლელათ ისულდგმულებს!..

### ქართველთა მსახიობთა დასს.

ვაშა, ვაშა, რომ გარბიხართ
ზოგი ალთას, ზოგი ბალთას!
მალე გნახავთ იკიდებდეთ
სათხოვარათ ზურგზე ხალთას!..
თქვენ ჰკორებს და შეხეთქებას
თან გადაყვა საქმის ბედი;
თითო-თითოთ გამოსულხართ,
თავს იმართლებთ, ვითა ყბედი.
გიცნობთ ყველას, რაც ბძანდებით.
და ვის გტკივათ რისთვის გული...
ერთგული ხართ მაშინ საქმის,
როცა გშიათ, გიჭირთ ფული...

### ახალ თეატრს.

არც იმდენათ ხარ ლამაზი
და მომხიბლავი გულისა,
რასაც გვიქადდენ, მარად დღე
მხარჯავნი დიდის ფულისა!..
თითონ ოპერაც გვაცინებს
არეულისა ენითა,—
ერთი რომ ტირის რუსულათ,
მეორე გალობს ლხენითა;
ვერ გაუგიათ ერთ-ურთი,
ვერ უთანხმებენ მღერასა,
დამსწრენი მიშტერებიან,
ვეღარ მიმხვდარან ვერასა...

### ჩვენს სამეურნეო ბანკს.

ნანა, ნორჩო, ნანინაო,
ტკბილათ რამ დაგაძინაო?
იზრდები, თუ ყრმათვე კვდები
მშობლებისა თვალწინაო?
იმედი კონა მოგვიძღვენ,
ოქროს მთები აღგვითქვიო...
რა უყავი? რას აპირებ?—
გულ-ახსნილათ გამოთქვიო...

### ქუთათურ ადვოკატებს.

ნელა გარჩობთ თვის ტალღებში
ქუჭყით სავსე ცხოვრების ზღვა
და გაცივდა თქვენი გული,
ვით სამარე, ლოდი და ქვა.
თქვენი ცოდნა განათლება
სიცრუეში დაისახა,
თქვენი აღთქმა ქვეყნის მიმართ
სამუდამოთ დაიმარხა;
ახლა მხოლოთ იმას ფიქრობთ
და გიჭირავთ მაზე თვალი,
რომ გაგლიჯოთ გლეხი კაცი
უენო და შესაბრალი;
ან კიდევ სხვაც, ვისაც ენა
თქვენებრ ფლიდი, მრუდე არ აქვს,
ვისაც ჯერა თქვენი სიტყვა,
ვისაც გული წმინდა დააქვს..
და განაცარცვ ცოდვის ფულით
იგებთ ძვირფას ჩარდახებსა;
თქვენ ნეტარებთ და რას დაღევთ
ქვეყნის ბედს და ჩაგრულ ძმებსა!..

# წარსული წლის პოლიტიკა.

წარსული წელი შეიქნა რუსეთის პოლიტიკის გამარჯვების ხანათ. თითქმის ასი წელი გადის მას აქეთ, რაც რუსეთს ასეთი ძლევამოსილობა არ დარჩენია პოლიტიკაში. პირველი ხანა რუსეთის პოლიტიკის დიდებული გამარჯვებისა ევროპაში დადგა 1815 წლიდან, ვენის კონგრეს შემდეგ, როდესაც ალექსანდრე პირველმა, როგორც თვით რუსეთი, ისე მთელი ევროპა განათავისუფლა ნაპოლეონ პირველის მტარვალობისაგან. მთელმა ევროპის ხელმწიფეთა კრებულმა სამართლიანათ აღიარა მაშინ რუსეთის იმპერატორი თვის შორის მეთაურათ და მათი ხელმწიფობის უფლების დამცველათ. ეს მოხდა შემდეგი მოვლენით. წარსული საუკუნის გასულს საფრანგეთში დიდი რევოლიუციის დროშა აიმართა ერთა განსათავისუფლებლათ. ამან, როგორც ვიცით, დიდი არეულობა გამოიწვია ევროპის საპოლიტიკო ასპარეზზე. ეროვნების თავისუფლების პრინციპმა ძველი თვითმპყრობელობითი წეს-წყობილება პირქვე დაამხო, მაგრამ რადგან საფრანგეთის ერი არც გონებრივათ, არც სოციალურათ არ იყო მკვიდრათ მომზადებული ასეთი ეპოქისთვის, ამისგამო თვით საფრანგეთშივე მალე მოისპო საერო მართვა-წყობილება, ჩაქრა თავისუფლების ამგზნები სული და მისი დიდებული დროშა ნაპოლეონ პირველის ხელში ისევ თვითმპყრობელობის დროშათ გადაკეთდა. ასეთმა მოვლენამ უცბათ ჩააქრო საფრანგეთის ერის აღტაცება; სხვა ევროპის ხალხებმაც ზურგი შეაქციეს საფრანგეთს და ის დღე, როცა ნაპოლეონ პირველმა საიმპერატორო გვირგვინი თავზე დაიდგა, შეიქნა მიზეზათ ნაპოლეონის მთავრობის დამხობისა. დადგა დრო ევროპის ერთა განთავისუფლებისა ნაპოლეონის დესპოტობის წინააღმდეგ. აი, ამ მძვინვარე ბრძოლაში ევროპის სახელმწიფოებს შორის რუსეთის სახელმწიფო შეიქნა დროშის მატარებლათ, და მისი მირონ-ცხებული ხელმწიფე, ალექსანდრე კურთხეული, ხელმწიფეთა შორის ნამდვილ მეთაურათ და მხედართ-წინამძღვრათ. ეს იყო პირველი დიდებული გამარჯვება რუსეთის პოლიტიკისა ევროპაში. მაშინ რუსეთი ებრძოდა საფრანგეთის ძალმომრეობას და რუსეთის იმპერატორი ნაპოლეონ პირველის მტარვალობას. რასაკვირველია, ყველა მის მიერ დაჩაგრული სახელმწიფოების თანაგრძნობა რუსეთისკენ იყო; ავსტრია, პრუსია და სხვა ევროპის წვრილმანი სახელმწიფოები მისი მოკავშირე და მისი ბძანების მორჩილნი იყვენ. მაშინ ინგლისიც მისი თანამგრძნობელი და დამხმარე შეიქნა ამ დიდ ბრძოლაში.

ახლა წარსულ წელს ევროპის პოლიტიკურს ვითარებას კი სულ სხვა სახე მიეცა. წარსულ წლამდის ევროპაში უპირატესობა ჰქონდა კიდევ გერმანიას. მარტო გერმანიის იმპერატორი მეთაურობდა პოლიტიკაში. მაგრამ წარსულ წელს მოხდა დიდი პოლიტიკური ცვლილება. ამ წელს დაიძრენ აღმოსავლეთში აქამომდე მირულებულნი, მიძინებულნი ერნი. ამან გამოიწვია ჩინეთ-იაპონიის შეტაკება, მას თანმოჰყვა ოსმალეთის ქრისტიანების აურ-ზაური სულთანის უსამართლობის წინააღმდეგ. ამის-გამო ევროპის სახელმწიფოები დიდ საგონებელში ჩავარდენ. აქამომდე ისინი სარგებლობდენ აღმოსავლეთის ერების უძლურებით, ცდილობდენ იმათი ვრცელი და მდიდარი აზიის ქვეყნები ნელ-ნელა ხელში ჩაეგდოთ და ეკონომიურათ შთაენთქათ. ვინ იფიქრებდა, რომ ამ გარეგან უძლურების ფერფლში ღვიოდა ძლიერების ნაპერწკალი. უცბათ იგრიალა ძლევამოსილმა იაპონიის მხედრობამ და კინაღამ მთელი ჩინეთი დაიპყრო. ამიერიდან „აღმომავალი მზის“ სამეფო, როგორც ახლა უწოდებენ იაპონიას, შეიქნა ფრიად საშიში ევროპის სახელმწიფოების ინტერესებისთვის. იაპონიის ძლევამოსილობა თითქოს თავისთავათ ღაღადებდა: „აზია აზიელებისთვის უნდა იყოსო და არა ევროპელებისთვისო“. ასეთმა გარემოებამ მიიქცია განსაკუთრებით რუსეთის სახელმწიფოს ყურადღება. იგი, როგორც უფრო ძლიერი, აზიასთან უფრო დაახლოვებული და უფრო დაინტერესებული ევროპის სახელმწიფოებს შორის, გარდა ინგლისისა, გამოვიდა წინამძღოლათ საპოლიტიკო ასპარეზზე. მაშინვე მთელი ევროპის სახელმწიფოებიც სიამოვნებით მიემხრენ მას, რადგან ვერც ერთი მათგანი ვერ იკისრებდა ასეთ მეთაურობას — ერთი — იმისთვის, რომ ძალიან მოშორებული იყვენ აზიის ქვეყნებზე, ხოლო მეორე — იმისთვის, რომ მათ შორის დიდი შინაური განხეთქილება და ერთმანეთზე დაუნდობლობა სუფევდა. რუსეთის სახელმწიფომ ჩინებულათ ისარგებლა ამ გარემოებით და დააჩქარა საფრანგეთთან მეგობრული ურთი-ერთობის შეკვრა, რომ კიდევ უფრო გაეძლიერებინა თავისი პოლიტიკური მნიშვნელობა. აქ გერმანიის სახელმწიფო ძალა-უნებურათ უკან ჩამოდგა და აღმოსავლეთის საქმეებში მთლათ რუსეთის ხელმძღვანელობას დაუმორჩილა თავისი პოლიტიკა. ასეთი მოულოდნელი თავის დახრა გერმანიისა უფრო იმითი აიხსნება, რომ მას აქეთ, რაც მან ფლოტის გაძლიერებასთან კოლონიების გამრავლებასაც მიჰყო ხელი, ის ძალა-უნებურათ შეიქნა ინგლისის მეტოქეთ. ასეთი გარემოებით ჩინებულათ ისარგებლა რუსეთმა და როდესაც ინგლისი მიემხრო აღმოსავლეთის ქრისტიანების მოძრაობას, მას არაფრათ არ ულირდა ინგლისის ეგო-

ისტური პოლიტიკა გამოეაშკარავებინა და ევროპის სახელმწიფოები ადვილათ დაეჯერებინა, რომ ინგლისი ამ საქმეში მოქმედებს მხოლოთ საკუთარი ინტერესისთვის და არა ქრისტიანობის სასარგებლოთ. იმას უნდა ქრისტიანების მიკერძებით ხელი შეუწყოს ოსმალეთის სახელმწიფოს დამხობას და მის საუკეთესო ნაწილს დაეპატრონოსო. ამ ხერხით რუსეთმა ერთი, რომ ოსმალეთის გული მოიგო და მეორე მხრით ინგლისი გაამარტოვა. ამას შემდეგ გერმანიის მეტოქობის გამო ინგლისი ვერც სამთა კავშირის მიმხრობია და რუსეთის გამო ვერც საფრანგეთთან მორიგებულა. ასეთმა ძლევამოსილობამ რუსეთის სახელმწიფოს პოლიტიკისამ თეისი ნაყოფი უკვე მოიტანა. დღეს რუსეთის ზეგავლენა თან-და-თან ძლიერდება უკიდურეს აღმოსავლეთის ქვეყნებში. კორეის სამეფოში მან მიიმხრო თვით ადგილობრივი მმართველობა და ამით იაპონია შეტუქსა, ხოლო ოსმალეთის სახელმწიფოში რუსეთის წარმომადგენელი ნელიდოვი ყველა სახელმწიფო ელჩების მეთაურია. ოსმალეთი სრული გულდანდობით შეჰყურებს რუსეთის მთავრობას და აღმოსავლეთის ქრისტიანების მდგომარეობის გაუმჯობესება უფრო რუსეთის ხელმწიფის გულ-ლმობიერებაზეა დამოკიდებული, ვიდრე სხვა ვისმეზე. ამ სახით თუ რუსეთის ძლევამოსილობა ამ საუკუნის დასაწყისში ალექსანდრე პირველმა კურთხეულმა მოიმკო ინგლისთან მეგობრობით და საფრანგეთთან მეტოქობით, დღეს ამ საუკუნის გასულს მისმა უდიდებულესობამ ნიკოლოზ მეორემ ეს ძლევამოსილობა დაიმსახურა საფრანგეთთან მეგობრობით.

მაზაკვალი.

## ეკონომიურ მიმოხილვის გამო.

ჩვეულება სჯულის უმტკიცესიაო ამბობს ჩვენი ხალხი. ჩვენის აზრით კი, ჩვეულება სჯულის უმტკიცესი თუ არა, თვით სჯული მაინც არის და მისი დარღვევა არც ადვილი საქმეა და რომ იგი დაირღვეს, საჭიროა, ის ნიადაგი, რომელზედაც ეს ჩვეულება აღმოცენდა, გამოიცვალოს და ამ გამოცვლილმა სულ სხვა გვარი ჩვეულება შექმნას, რომელიც შემდეგში თვით გახდება „სჯულის უმტკიცესათ“. ამ ნაირი ჩვეულების აღმასრულებელია, მაგ., სახელმწიფო მაშინ, როცა იგი ყოველივე წლის დასასრულს ან დამდეგს აცხადებს გასული წლის ნამოქმედარის ანგარიშს, უკეთებს ყოველ გვარ შემოსავალს და გასავალს საერთო ჯამს და აქედან გამოყავს ასეთი თუ ისეთი დასკვნა თავის მომავალი მოქმედებისათვის.

შეიძლება ვინმემ თქვას, რომ ჩვენ დროში სახელმწიფოს მიერ ანგარიშის გამოქვეყნება წლის დასასრულს და მომავლისათვის თავდარიგის მიცემა ჩვეულება კი არა, კანონია, რომ უმაღლესი მთავრობა ვალდებულათ ხდის ყველა სახელმწიფო დაწესებულებათა წლის ბოლოს თავიანთი ნამოქმედარის და ნაღვაწის დაწვრილებითი ანგარიში საყოველთაოთ გამოაქვეყნონ. მაგრამ სანამ ეს ჩვეულება საყოველთაო სახელმწიფო კანონათ შეირიცხებოდა, ის სავალდებულო არავისთვის არ ყოფილა: ის იყო მატერიალური პირობების აუცილებელი შედეგი, იმ პირობებისა, რომლებიც შეადგენენ საზოგადოებრივი ცხოვრების და მთელი მისი ორგანიზაციის საფუძველს. მას შემდეგ, რაც მატერიალური ცხოვრების წარმოებას ცოტათ თუ ბევრათ განსაზღვრული, მუდმივი, ხასიათი მიეცა, ადამიანის არსებობისათვის საშუალებათა მოპოებამ თან-და-თან შექმნა და განავითარა სხვათა შორის ის „სჯულის უმტკიცესი ჩვეულებაც“, რომ ყოველ განსაზღვრულ დროზე, მაგ., წლის დასასრულს ან დამდეგს, როგორც კერძო პირი, ისე მთელი საზოგადოება, თითოეული თავის ანგარიშს იძლევა, რომ მით უფრო ნათლათ გაითვალისწინოს მომავალში თავის მოქმედება, იმის საცოდნელათ, თუ მრეწველობის რომელ დარგში უნდა დაიხარჯოს უფრო მეტი რაოდენობა საზოგადოებრივი შრომისა და რომელში უფრო ნაკლები.

ამ გარემოებათა მიხედვით, როგორც საზოგადოება და მთელი სახელმწიფო, ისე კერძო პირი, ან კვლავ წინანდელ გზას ადგება, ან და წარსული გამოცდილების მიხედვით სხვა გზას ირჩევს თავის მოქმედებაში.

ეს ჩვეულება, ე. ი. დრო და დრო ანგარიშის მიცემა, ჟურნალ-გაზეთობაშიაც შემოვიდა კაი ხანია. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგანაც ჟურნალ-გაზეთობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს (თუ ჩვენში ეს ჯერ კიდევ ამნაირ იარაღათ არ არის, ეს სულ სხვა საქმეა). ის ერთი მხრით გამომხატველია საზოგადოებრივი ცხოვრების მაჯის-ცემისა, მისი ნივთიერი და გონებრივი მდგომარეობისა, საზოგადოების ურთი-ერთობის და მისი წარმატების მაჩვენებელია და მეორე მხრით, ის ასე თუ ისე მუდამ უკეთესი მომავალის კვლევა-ძიებაშია. თუ მივიღებთ მხედველობაში აგრეთვე იმ გარემოებასაც, რომ ერთი მხრით მრავალი სალიტერატურო და საპოლიტიკო ორგანოები ყოველ წლივ აახლებენ და ცვლიან თავიანთ პროგრამას და შინა-

არის და მეორე მხრით მრავალი გამოცემანი იბადებიან წლის დასაწყისს, ჩვენ ნათლათ წარმოვიდგენთ ჟურნალ-გაზეთობის მიერ ანგარიშის მიცემის უაღრეს მნიშვნელობას და ამ გვარი ანგარიშის აუცილებელ საჭიროებას. მაგრამ რამდენათაც დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებისათვის ლიტერატურულ ანგარიშს, იმდენათ სახიფათოთ უნდა ჩაითვალოს იგი ბევრ შემთხვევაში, და, აი, რათა: ჩვენ ვიცით, თუ რამდენათ ვრცელი და ფართოა ლიტერატურული ანგარიშის სამულობელო, რომელშიაც უნდა აღინიშნოს, ერთი მხრით, მეცნიერების წარმატება და მეორე მხრით საზოგადოებრივი ცხოვრების ვითარება საანგარიშო დროს განმავლობაში. ყოველივე ეს საფუძვლიან ცოდნასთან ერთად დიდ დაკვირვებას თხოულობს; უმრავლეს შემთხვევაში კი ანგარიშის შემდგენნი ყოველსავე ამას მოკლებულნი არიან; ამიტომ ისინი კმაყოფილდებიან ფაქტების უბრალო აღნუსხვით და ზოგადი ფრაზების წარმოთქმით. ეს გასაკვირი არ არის, რადგან ამგვარი ანგარიშები ჩვეულებრივ გაკვრით და სიჩქარით იწერებიან ხოლმე. საჭიროა ისიც შევნიშნოთ აქვე, რომ მეცნიერების წარმატების აღნიშვნა ისე საძნელო არ არის, როგორც საზოგადოებრივ მოვლენათა აღნუსხვა და დაფასება; მეცნიერებაში საკმარისია მარტო ფაქტის დასახელებაც, რადგანაც აქედან ყველა ერთსა და იმავე დასკვნას გამოიყვანს; სულ სხვაა საზოგადოებრივი მოვლენანი. აქ ფაქტების აღნუსხვას თუ წინ არ მიუძღვის ღრმა ისტორიული შეხედულება საზოგადოებაზე და ცხოვრებაზე, შეცდომების თავიდან აცილება ყოვლად შეუძლებელია. ავტორმა არასოდეს არ უნდა გაუშვას მხედველობიდან, რომ მის მიერ დასახელებულნი მოვლენანი მეტად რთულია, რომ თითოეულს მათგანს კიდევ ეჭირვება დაყოფა და მეორე რიგის მოვლენაებთან შეფარდება და დაკავშირება.

ჩვენში კიდევ უფრო გასაჭირია ლიტერატურული ანგარიშის მიცემა. თუ სხვა ქვეყნებში, მაგ., ამნაირი ანგარიშის მიცემა განძნელებულია მასალის სიუხვით, ე. ი. სხვა-და-სხვა გვარი სამეცნიერო და სტატისტიკური ცნობების სიმდიდრით, ჩვენში პირიქით საქმე გაძნელებულია ამ გვარი მასალის თითქმის უქონელობით, და თუ ათასში ერთხელ ხელში ჩაგვივარდა სტატისტიკური ცნობები, უმრავლეს შემთხვევაში უსათუოთ ყალბია თუ პირდაპირ სამეცნიერო ცნობებს თავს დავანებებთ, რომლებითაც ჩვენში მაინცა და მაინც არავინ იწუხებს თავს, და ჩავუკვირდებით ჩვენი საზოგადოების ვითარებას, სწორეთ გავოცდებით.

არავისთვის დასამალავი არ არის, რომ ჩვენ, ქართველები, შეუდარებლათ ჩამორჩენილი ვართ ჩვენი დროის დაწინაურებულ ხალხებზე ყოველი მხრით; მაგრამ, მეორე მხრით, ყველამ უწყის, რომ ბევრი რამ გვაქვს ჩვენც ამ ხალხებთან საერთო: როგორც იმათში, ისე ჩვენშიაც არსებობენ საზოგადოებრივი დაყოფანი: მაღალი და მდაბალი, მდიდარი და ღარიბი, ერთი მხრით ფულისა და მამულის მეპატრონენი და მეორე მხრით უმიწაწყლოთ დარჩენილი ნაწილი საზოგადოებისა; როგორც იმათში, ისე ჩვენშიაც საზოგადოების მდიდარი ნაწილი ანუ კლასი ცოტათ თუ ბევრათ განსაზღვრულ საშუალებას ხმარობს სიმდიდრის შესაძენათ,—ეს სხვისი შრომის ნაწარმოების მისაკუთრებას; როგორც იმათში, ისე ჩვენშიაც უმიწა-წყლოთ დარჩენილნი არსებითათ ერთი და იგივე წყაროს საშუალებით იკვებენ თავს,—ეს თავისი სამუშაო ძალის გაყიდვას, როგორც უბრალო საქონლისა; როგორც დაწინაურებულ ერთა შორის, ისე ჩვენშიაც საზოგადოების ამ ორ მოწინააღმდეგე კლასთა შორის ერთნაირი განხეთქილება, ანტაგონიზმი, არსებობს; როგორც იმათში, ისე ჩვენშიაც თანამედროვე კაპიტალისტურმა წარმოებამ შექმნა თავისებური საზოგადოებრივი ურთი-ერთობანი, დაბადა ახალი უფლება, ახალი ზნეობა, ახალი სქესებრივი განწყობილებანი და სხვა-და-სხვ. და ახლა ვიკითხოთ: როცა ყოველივე ეს სხვებს დაწვრილებით შესწავლილი და გამოკვლეული აქვთ, ჩვენ რაღა გაგვიკეთებია, ან რას ვაკეთებთ? სრულიად არაფერს და, ვგონებ, ჯერ-ჯერობით ამ მხრით არც არაფრის გაკეთებას ვაპირებთ.

ვინ შეეხო ჩვენში უმიწა-წყლოთ დარჩენილების მდგომარეობის შესწავლას, იმათი რაოდენობის განსაზღვრას, დაახლოვებით მაინც? ვინ მოჰკიდა ხელი დაქირავებული მუშის ხელ-ფასის გამოკვლევას მრეწველობის და აღებ-მიცემობის სხვა-და-სხვა დარგში? ვინ გვიჩვენა დაახლოვებით მაინც, თუ რამდენ საათს გრძელდება სამუშაო დღე, რა გვარ ჰიგიენურ პირობებში მუშაობენ ჩვენ ფაბრიკებში და ქარხნებში? ვინ შეისწავლა ცოტათი მაინც აღებ-მიცემობის და მრეწველობის განვითარების ისტორია ჩვენში?—უამისოთ ხომ ჩვენ ერთი ბიჯის გადადგმა არ შეგვიძლია, რადგანაც მთელი თანამედროვე პროგრესიული მოძრაობა დაწინაურებული კაცობრიობისა მრეწველობის და აღებ-მიცემობის წარმატების შედეგია. თუ ამგვარი ცნობები დაგვჭირდა, ჩვენ ჩვეულებრივ უნდა მივმართოთ „Кавказскій календарь“-ს, რომელიც სულ სხვა მიზნით, ყოველ წლივ ჩვეულებრივ საკალენდრო ცნობებთან ერთად, სხვათა შორის, ბეჭდავს სხვა-და სხვა სტატისტიკურ ცნობებს, რომლებიც სინამდვილეს არიან მო-

კლებულნი და რომლებითაც სარგებლობა არ შეიძლება. საზოგადოთ არა თუ ამ ჩვენ პატარა კუთხეში, არამედ მთელ რუსეთის სახელმწიფოში სტატისტიკური ცნობების შეკრების საქმე ვერ არის დაყენებული მკვიდრ ნიადაგზე. მხოლოთ რამდენიმე გუბერნიის ერობებს აქვთ ეს საქმე რიგიანათ მოწყობილი. სამწუხაროთ, ერობას ჩვენ აქამდის მოკლებული ვართ და თუმცა-ღა ამ ბოლოს დროს ამის შესახებ, ე. ი. ერობის შემოღებაზე ჩვენში, სატახტო ქალაქების გაზეთები ბევრს ლაპარაკობენ, მაგრამ როდის გველირსება ჩვენ ეს დაწესებულება, არ ვიცით.

მე მინდოდა რამდენიმე სიტყვა მეთქვა ახლათ გამომშვიდებულ წელიწადზე, მაგრამ საუბარი უამისოთაც საკმარისათ გაგვიგრძელდა. ზოგიერთებსავით ლათაიების თხზვა რომ შეგვეძლოს, უეჭველია, ჩვენ თვით ამ ახალ გამოსტუმრებულ 1896 წელშიაც, რომელმაც, ჩვენის აზრით, ყოვლად უნაყოფოთ და უფერულათ ჩაიარა და რომლის განმავლობაში ვაებას და მწუხარებას გარდა სრულიად არაფერი გვსმენია, ვიმეორებთ თვით ამ 1896 წელიწადშიაც რაიმე სანუგეშოს გამოვნახავდით. მაგალითათ ჩვენ შევვეძლო დაგვესახელებია სხვა-და-სხვა ამხანაგობათა დაარსება, ,,სახელოვანი‘‘ წოდების გამარჯვება, და სხვა ამისთანები. მაგრამ არა, ამ ნაირი საზღოთი ჩვენ არასოდეს არ გვიკვებია თავი, და ამიტომ გადაჭრით ვამბობთ, რომ გასული 1896 წლის განმავლობაში ჩვენთვის არაფერი სანუგეშო გაკეთებულა, მას არავითარი ამაგი მიუძღვის ჩვენ წინაშე; ერთი სიტყვით, ამ მხრით ის ჩვენ ცხოვრებაში უმნიშვნელო დარჩება. ისიც შესაძლებელია, რომ გასულს წელს ჩვენდა შეუმჩნევლათ რაიმე დიდი საქმე დაბადებულიყოს, ან ჩასახულიყოს ჩვენ საზოგადოების გულში, მაგრამ ამაზე ამ ჟამათ ჩვენ არაფრის თქმა არ შეგვიძლია. ჩვენ იმას ვამბობთ მხოლოთ, რომ ხსენებული წლის განმავლობაში, არც ჩვენ გონებრივ სალაროს, ლიტერატურას, შეძენია რაიმე ღირსმნიშვნელოვანი გონების ნაწარმოები, და არც საზოგადოებრივ ცხოვრებას გადუდგამს ერთი ნაბიჯი თვით ცნობიერებისაკენ.

რაც შეეხება ჩვენი ხალხის მატერიალურ მდგომარეობას, მის წარმატებას თუ დაქვეითებას, ამაზე ის უნდა ვთქვათ, რომ განა შესაძლებელია ერთი წლის განმავლობაში მთელი ხალხი მატერიალურათ ან ისე დაეცეს და ან ისე წარმატებაში შევიდეს, რომ ამ მოვლენას მჭიდრო კავშირი არ ჰქონდეს მთელ მის წარსულთან, თუ მის სოციალურ წესწყობილებასთან, რაც ხანგრძლივი წარსულის ნაყოფს შეადგენს? ამიტომ ლაპარაკი ჩვენი ხალხის მატერიალური მხრით წარმატების, თუ დაქვეითების შესახებ 1896 წლის განმავლობაში, მე, ცოტა არ იყოს, უ[illegible]ჯენელოთ მიმაჩნია. მართალია, მრავალმა სტიქიურმა უბედურებამ, მაგ., დიდმა თოვლმა, თუ წყალდიდობამ უფრო გაამწვავა დღევანდელი ჩვენი ეკონომიური ურთიერთობანი, მაგრამ თვით ბოროტების სათავე ძველი კი ამ ეკონომიურ ურთიერთობაშია ჩაფლული. რას წარმოადგენს დღევანდელი ეკონომიური ურთიერთობა? არსებითათ ეს საგანი განმარტებულია რამდენიმეთ ჩვენს მწერლობაშიაც; მაგრამ მისი დაწვრილებით გამოკვლევა შეუძლებელია, სანამ ხელში არ გვექნება ყველა ის მასალა და სტატისტიკური ცნობები, რომლებიც მე ზევით დავასახელე და რომლებიც ჩვენ დღეს სრულებით არ მოგვეპოვება. უამისოთ კი ჩვენი მოწინავე თაობა, ანუ ინტელიგენცია, ვერ შეასრულებს თავის კულტურულ დანიშნულებას. ახლა კი ვისურვოთ, რომ ეს 1897 წელი უფრო ნაყოფიერი გამომდგარიყოს ჩვენი ცხოვრებისათვის.

ფ. მ.

## ახალწლის მილოცვა პროვინციიდან.

თავად-აზნაურებს

ხომ ხედავთ, როგორ დაეცით,
აღარ გაქვთ ძველი დროია,
კაპიტალიზმი მოგადგათ,
გეძახისთ:—ჩემი დროია.

კ ა პ ი ტ ა ლ ს

იზარდე მეტათ სისწრაფით,
ჩვენო დამკვლელო დანაო;
ხომ ხედავ, შენგნით მოკლულთა
სისხლის მორევი დგანაო!
დრო, იქნებ, ჩვენცა დაგვიდგეს,
რომ ყელთა დაგცეთ დანაო!

ი მ ე რ ლ ე ბ ს

მოგილოცავთ ახალ წელსა
და უმარკო ქაღალდებსა.
დღიდან თქვენ „დანოსს“ უმარკოთ,
ვისაც აძლევთ, მიიღებსა.

გ უ რ უ ლ ე ბ ს

სიყოჩაღე თქვენ გეტყობათ,

მტკიცეთ დგომა სწავლის გზასა,
ქვეყანა რომ მოიაროთ,
ვერსად ჰპოვებთ თქვენსა მსგავსსა.

ი. ჭ—ძეს

ოთხმოც-და-თოთხმეტს დაიწყო
„უცნაური ამბის“ წერა;
ორი წელია ვუყურებთ,
მგონი, რომ ველარ დაწერა!

ნ. ნ—ძეს

ფეოდალები დაეცენ,
უშველე, ხელი მოჰკიდე!
მათთვის კანონი მონახე,
„მოამბეს“ ზურგზე აჰკიდე.

ქუთაისის ქალაქის თავს

ბევრი საქმე გააკეთეთ!
ავი ჰქენით, თუ კარგიო;
მომავალში არ გირჩევენ,
ზურგს აიკიდეთ ბარგიო!

ოზურგეთის ქალაქის თავს

აზრათ გაქვთ, ასე გავიგე,
ოზურგეთის წარმატება;
თქვენი მოსვლითა ოზურგეთს
ჯერ ბევრი არ ემატება.

გურიის სახალხო ბიბლიოთეკის გამგეს

ვინც სახნავი უკუღმართათ
მრუდათ ჰხნას და თესოს, ჰფარცხოს;
ის მე პურსა ნულარ მაჭმევს,
რაც იმ ფქვილით გამოაცხოს.

შ უ ბ ნ ე ლ ს

პედაგოგობა უარ ყავით,
ყელს ჯაჭვი ჩამოიკიდეთ;
მაგითაც რომ ვერას გახდით,
კვლავ ძველ გზას გამოეკიდეთ.

„...მძულხართ!...“

(საახალწლო ეტიუდი)

(800... ნ)

ეს პირველი!.. წამოიძახა ქალწულმა და გვერდზე კისრის მიგრეხით სარკეში ჩახედა... ოდნავ შეპარებული სიწითლე იმის ნაზ, სპეტაკ სახის ფერს აშვენებდა, და ცის-ფერი თვალები და ოქროს ფერი თმა ხომ უათკეცებდენ სიშვენიერეს. ნეტოს თითონვე მოეწონა თავისი მინაზებული სახე და სარკისკენ მთლათ მიტრიალდა. სარკემ უტყუვრათ გამოაჩინა იმის მოხდენილი ტანი და...

— მოდის!.. ღიმილით წამოიძახა, კიბიდან ფეხის ხმა რომ შემოესმა, და მოწყვეტით სავარძელში ჩაესვენა.

— ლეგაა!.. — შემოვიდა დედაკაცი და მოახსენა ნეტოს.

— თხოვე!..—უპასუხა ნეტომ და წამოდგა. ლეგამ კარებჭეში გვაბანაკი გაიძრო, თმა გაისწორა და...
— მოგილოცავთ ახალ-წელს!..—უთხრა, შემოვიდა თუ არა დარბაზში და ნეტოს მხურვალეთ ჩამოართვა ხელი.

— პირველათ თქვენსკენ წამოვედი...

— გმადლობთ! თითქმის მეკვლეც თქვენა ხართ! უპასუხა ნეტომ და თხოვა, დამჯდარიყო.

— ახ, რა ბედნიერი ვარ, რომ თქვენი მეკვლე მე ვარ!.. —შეუხამებელი სიხარულით წამოიძახა ლეგამ და ნეტოს გვერდით მიუჯდა...

— განა ჩვენი მეკვლეობა მაგრე საინტერესოა, რომ ბედნიერებათ თვლით?!—ღიმილით დაეკითხა ნეტო და ცოტათი ლეგასკენ გადმოიხარა.

— ნეტო!..—ხმის კანკალით წამოიძახა და ხელი დაუჭირა:—ეს დღე ჩემთვის სანეტარო იყო და მოუთმენლათ მოველოდი, რომ... რომ.. ახ!.. ნეტო, მიყვარხართ!...

— ხა, ხა, ხა, ხა!..—გადიხარხარა ნეტომ და ხელი გამოჰგლიჯა...

მდუღარე გადაესხა ლეგას, ნეტოს დაცინვითი ხარხარი რომ შემოესმა და წამს მოსაზრება დაეკარგა...

ვერც ხელი, ვერც თავი ვერ გაენძრია და გაშტერებით ნეტოს მიჩერებოდა.—

რათ?.. არ იცოდა.

ხარხარი კიდევ შემოესმა, თუმცა კი ნეტოს მეორეთ არ გადუხარხარია, და მაშინ-ღა გამოჰფხიზლდა.

უეცრივ მოუდუნდა ტანი, ძლივს წამოდგა და თვალ-ცრემლიანმა წაილუღლუღა:

— მშვიდობით ბძანდებოდეთ!..

— როგორ, მიდიხართ?!..—წამოდგა ნეტოც და თვალით ჩააცქერდა.

— საცაა, დედა ჩემიც გამოვა, ძალიან ეწყინება, იმის უნახავათ რომ მიდიხართ!..

— ბოდიშს ვიხდი... არ შემიძლია!..

**

ლევა გაეთრია. დიაღ, გაეთრია, რადგან თავის თავს ძალათ მიათრევდა. ფეხები აღარ ემორჩილებოდენ.

რა სიხარულით, რა სიამით მოეშურებოდა ნეტოსკენ?!. რა ღიმი უკრთოდა ტუჩებზე, როდესაც აქეთ მოესწრაფვოდა, და რას არ ოცნებობდა!.. მაგრამ რა სასტიკათ დასაჯეს, დასცინეს და წმიდათა-წმიდა შეულახეს!... —

მერე ვინ?..

ნეტომ... ნეტომ... იმ ნეტომ, რომელიც ანგელოზათ მიაჩნდა, და რომლისაგანაც სრულებით არ მოელოდა ამგვარ შეურაცყოფას...

ნეტო ხორც-შესხმულ ციურ არსებათ მიაჩნდა ლევგას და როგორ წარმოიდგენდა, რომ ის... ის... ასე ხარხარით მიიღებდა იმის წმიდა გრძნობას და...

— ახ!.. შეჰდექ!.. - მეეტლეს ყავარჯენი ზურგში წაჰკრა და შეჰყვირა:

— გადაჰხადე!..

— როგორ, ბატონო, თოვლს!...

— გეუბნები გადაჰხადე!..—მოკლეთ უპასუხა და გვაბანაკა გადიღელა.

ცხელოდა. საკირეში ეგონა თავისი თავი. იმის შუბლს, სახეს უხვათ ეფერფლებოდა თოვლი, მაგრამ ამაოთ.. არაფერსა გჰრძნობდა და ქუდ მოხდილი გადახდილი ეტლით მისრიალებდა უმთავრეს ქუჩაზე. რამდენმა შეჰხედა და გაიფიქრა: „მთვრალიაო“. სხვა დროს თითონვე დაითაკილებდა ამას, მაგრამ ახლა... ახლა, როდესაც ნეტოს დაცინვითი ხარხარის მეტი არა ეყურებოდა-რა, ველარაფერს ამჩნევდა...

— გეყურება, არავინ მიიღო, ვინც უნდა იყვეს... „შინ არ არის-თქო“, ასე უთხარი.—სასტიკი ბრძანება მისცა მოსამსახურეს და ლოგინზე გულდაღმა მიეგდო...

**

— ვინ იყო, შვილო!..—დაეკითხა დედა, როდესაც ლევა წავიდა, და დარბაზში გამოვიდა.

— ლევგა.

— როგორ?! მერე ჩემ უნახავათ წავიდა?.. რატომ, სანამდის მე არ გამოვიდოდი, ტკბილეულობაზე არ მოიწვიე?!..

— მიეჩქარებოდა... —უპასუხა ნეტომ დედას, მაგრამ ტანში გააჟრჟოლა.

იგრძნო, რომ იმტყუვნა, რომ იმისმა ხარხარმა აიძულა ლევგა, ჩქარა წასულიყო და, ასე რომ არ მოჰქცეოდა, იქნება, ის მთელი დღე ამათთან დარჩენილიყო. თვალ-ცრემლიანი ლევგა უეცრივ წინ წარმოუდგა და...

— გენაცვა, დედი, ცუდათა ვარ, მე ველარავის ვეჩვენები...

გული ამოუჯდა და ქვითინი მორთო.

— რა დაგემართა, რა იყო?!.

— არ ვიცი... მაპატიევე!..—წამოიძახა და თავის ოთახში შევარდა...

— რა უზრდელი, საზიზღარი რამა ვარ!.. ასე როგორ მოვიქეცი და...

ახლა-ღა იგრძნო თავის ხარხარის მნიშვნელობა და ტანმა ჩხვლეტა დაუწყო.

ლევგას ცრემლ-მორეული თვალები კი ჩაჟინებით აშტერებოდენ და, თითქოს მომაკვდავი უკანასკნელათ საყვედურს ეუბნებოდენ..

— ღმერთო, ღმერთო, ხომ მოვკალი!..—წამოიძახა თვალებზე ხელის-მიფარებით, რომ ლევგას თვალები მოეშორებინა და ლოგინზე პირქვე მიწვა...

ლევგა კუბოშია. შავათ შემოსილი მღვდელი წინ მიუძღვის, და საუკუნო სამყოფელისაკენ მიაქეთ. მგალობელთა გუნდი კი სამგლოვიარო „წმიდაო ღმერთოს“ ჰგალობს...

დედა?!..

ლევგას დედაც უკან მისდევს და იმას... ნეტოს... საყვედურით უმზერს...

— ახ!.. —მწარეთ ამოიკვნესა ნეტომ და თავი ბალიშში უფრო ღრმათ ჩაჰფლა, რომ ეს სამწუხარო სურათი თავიდან მოეშორებინა..

**

„საზიზღარი!.. - შეჰბღავლა ლევგამ და ლოგინიდან წამოვარდა: „არ მეგონა, რომ ის... ის ასე უზრდელათ მომექცეოდა და პირში დაცინვით მომახარხარებდა... ოხ, რა თვალების ამხვევი ყოფილა გარეგნობა!..“

„წავიდა... განქრა ჩემი ოცნება... რა ნაზათ სათუთათ ვკვებავდი, და ის კი რა სასტიკათ მომექცა?!..

— ახ!.. რომ ქალწული არ ყოფილიყო, რომ სხვას მოეყენებია მაგეთი შეურაცყოფა, დავგლეჯდი, დავფლეთდი და მიწასთან გავასწორებდი!..

— როგორ, როგორ?!.. თუ უარის თქმა უნდოდა, განა ზრდილობიანათ ვერ მეტყოდა? განა არ შეეძლო, სხვანაირათ უარი ეთქვა და მაგრე მასხარათ არ აეგდო ჩემი გრძნობა?!..

„საზიზღარი!..“

— ბატონო, ვიღაც ქალწულს უნდა თქვენი ნახვა.—მოახსენა მოსამსახურემ და წინ გამოექიმა.

— მე აკი გითხარ, ნურავის მიიღებ-მეთქი!— წყრომით შეუტია ლევამ და ისევ ლოგინზე მიწვა...

— მისთანა-შვენიერია, რომ უარი ვეღარ ვუთხარი, როდესაც მკითხა: „ბატონი შინ არისო“?.

— გასწი, გაეთრიე!.. უთხარ, ძინავს-თქო...

— ლევა, მე ვარ!..—უეცრივ კარი შემოაღეს და იქიდან მოესმა ხმა.

— შენ?!..—საჩქაროთ წამოიჭრა და ნეტოს პირ-და-პირ დაუდგა—ხა, ხა, ხა, ხა!.. შეგეცოდეთ და იმისთვის მოხვედით?!..—მწარეთ დაეკითხა და თვალი თვალს გაუყარა.

— ლევა... მომიტევე!..—წამოიძახა ნეტომ და ლევასკენ აჩქარებით წამოვიდა.

— შორს!.. მძულხართ!..

შ. არაგვისპირელი.



ჭიათურის არეზე.

შავი ქვის მწარმოებლებს

ავი ქვისა ოქროთ ქცევა
არ ყოფილა სულ ადვილი!
ამას თურმე ცოდნა უნდა
და არა მარტო სურვილი!

შავი ქვის მოვაჭრე ბერძნებს

რას წააგებთ, რაც არა
გაქვთ?
მაშ, ივაჭრეთ სულ ნისიათ!
რა კარგს იზამთ თქვენ შავ-
ქვაში,
სხვაგანაც რომ არ გიქნიათ?

—

გაკოტრების არ გრცხვენიათ,
არაფრის გაქვთ შიში, რიდი!
კომერსანტი იმას ჰქვია,
ვინც რომ არის ცრუ და ფლიდი?!

—

უტიფრათ ნუ ლაპარაკობთ!
ჯობს არ დაძრათ არცა კრინტი!
ვაი, იმ ბანკს მოლორებულს,
სადაცა გაქვთ თქვენ კრედიტი!..

ამხანაგობას

წ—ძე პრეზიდენტი
გავაგზავნეთ ლონდონშიო,
დაბრუნდა და არ გვეჩვენა,
გვემალება, ვით ბოვშიო!..

—

ცუდათ არის ჩვენი საქმე;
ხელთ არა გვაქვს ანგარიში!..
ამან მოგვკლა, მოგვიწყლა,
გულს ჩაგვიდვა დიდი შიში!

—

საახალწლოთ ყველა ხარობს,
გავახშირეთ ჩვენ კი ვიში,
უფულობით სული გვძვრება
და გვიშრება ნერწყვი პირში!..

შავი ქვის მუშებს

შეუსვენარათ მუშაობთ,
მაინც არ გრჩებათ ფულები
და მით გედებათ გენია,
წყლულზე ზედ ერთვის წყლულები!.

—

ვინ არის თქვენი გამკითხი?
ვაჭარს აქვს სამართალია?
თქვენი ოფლითა ის რჩება,
თქვენი სისხლითა მთვრალია!

ფანდი.

## საქველმოქმედო საქმე.

### დაგვიანებული მადლობა.

წარსულ ზაფხულში ჭიათურაში ორი ღარიბი სტუდენტის სასარგებლოთ ფული შევკრიბე და მაშინვე გავუგზავნე „კვალის“ რედაქციას შემომწირველთა სია გამოსაცხადებლათ. ეს სია არ დაბეჭდილა გაზეთში, რადგან, როგორც აღმოჩნდა, რედაქციას არ მიუღია. სამწუხაროთ აღარც მე დამიტოვებია სიის პირი. ამისთვის, გვარების აუნიშვნელათ უგულითადეს მადლობას ვუცხადებ საზოგადოთ ყველას, ვინც ამ ღარიბ სტუდენტებს შემწეობა აღმოუჩინა. ერთი ამათგანი—გ. ინგოროყვა სწავლობს ტომსკის უნივერსიტეტში საექიმო ფაკულტეტზე, ხოლო მეორე—ს. გაშაყმაძე—პეტერბურღში კბილების სამკურნალო კურსებზე. სულ შევაგროვე ასი მანეთი, რომლიდანაც 40 მან. გადავეცი ინგოროყვას და 60 მან. გაშაყმაძეს.

თ. კიკვაძე.

—

ქ-ნო რედაქტორო! გთხოვთ გამოუცხადოთ მადლობა თქვენი გაზეთის საშუალებით ერასტო დავით. ბახტაძეს, რომელმაც გადმოგვცა ჩვენ 25 მან. ხონის საქალებო სკოლის ღარიბ მოსწავლეთათვის სწავლის გადასახადათ.

სკოლის დამაარსებელი ივ. შარაშიძე.

—

ქ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადო კნ. მარიამ მ. თუმანიშვილისას, რომელმაც კეთილ ინება და შემოსწირა რუისის სკოლას ოცდა ოთხი ქართული წიგნი.

სოფელ რუისის სკოლის მასწავლებელი
დ. ხახანაშვილი.

—

ქ-ნო რედაქტორო! გთხოვთ გამოუცხადოთ მადლობა თავ. ნიკოლოზ ირაკ. ციციშვილს და ნიკ. ალექ. ჯავროვს, რომელთაც შემოსწირეს პირველმა 15 მან., ხოლო მეორემ 1 მან. ფული სოფ. სადილაშენის ღვთისმშობლის ეკლესიის გასაახლებლათ.

თავ. სარდიონ ამირეჯიბი.

—

ქ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენი პატივცემული გაზეთ „კვალის“ საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოუცხადოთ იმ პატივცემულ პირთ, რომლებმაც შემწეობა აღმოუჩინეს ნაგომრის უფასო სახალხო წიგნთ-საცავს ფულით თუ წიგნებით.

სია შემომწირველთა: 10 მან. ყარ. დათეშიძემ, ხუთ ხუთი მან.: კნ. ფეოდ. გუგუნავასამ, თავ. გრ. გუგუნავამ, ნიკო გეგელაშვილმა. 4 მან. დ. ანდღულაძემ. სამ-სამი მან.: ან. მელივამ, ან. ანდღულაძემ და დ. გოგიბერიძემ. 2 მან. სოლ. მჭეიშვილმა, გრ. დონაძემ, ალ. ნიკოლაიშვილმა, ბეგ. გოგიბერიძემ, მელ. ბელეშაძემ, სოლ. ინწკირველიმ, ივ. ანდღულაძემ და ნეს ჯაყელიმ. 1 მან. 70 კ. ივ. მჭეიშვილმა. 1 მ. 50 კ. მიხ. ბუკიამ, მ. თალაკვაძემ და ხარ. კიღურაძემ. 1 მ. 40 კ. კლ. პატიშვილმა, თითო მან. ერ. ჯაშმა, დავ. თოხაძემ, მიხ. ორმოცაძემ, კოწ. მელივამ, პრა. ბერეჟიანმა ი. ქუთათელაძემ, გ. ქავთარაძემ, დ. ჩხაიძემ, სილ. თალაკვაძემ, ივ. კოპლატაძემ, ს. ჩხაიძემ ალ. ახალაძემ, ივ. ქართველიშვილმა, კლ. ბერეჟიანმა, გერ. ცხოველიძემ და დ. ნიკოლაიშვილმა. 6 მან. 30 კაპ. შეაგროვეს ქართველ ვაჭრებმა მარიობის დროს და ურიის ვაჭრებმა 3 მ. 20 კ.

სხვებმა ბევრმა წვრილ-წვრილათ შემოიტანეს და სულ შედგა 95 მ.

ზოგიერთ პირებმა წიგნები შემოწირეს: ფოტინე ბერეჟიანმა 33 წიგნი, კირ. კოპლატაძემ 94 წიგნი, დ. ანდღულაძემ 56 წიგნი და ქარ. შორის წერა-კითხვის საზოგადოებამ მოგვაწოდა 23 წიგნი.

სამკითხველოს დამაარსებელნი
გრ. გუგუნავა, ნიკო გეგელაშვილი.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

„აღმოსავლეთის მაღაზია“

პატივი მაქვს ვაუწყო საზოგადოებას, რომ მე გავაღე „აღმოსავლეთის მაღაზია“, რომელიც განსაკუთრებით ივაჭრებს კავკასიის, იაპონიის და საზოგადოთ აღმოსავლეთის საუცხოვოთ დამზადებულ ნაწარმოებით. თბილისში ლორის-მელიქოვის ქუჩა სემინარიის პირდაპირ № 4.

ი. ნ. მერკვილაძე.

Доз. ценз. Тифлисъ, 31 Декабря 1896 г. Тип. М. Д. Ротиніанца — სტამბა, მ. დ. როტინიანცისა Гол. пр. д., № 41.